ცნობის ფურცელი

№ 2212 კვირა, 20 ივლისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2212

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-136 №-რი.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ

საუკეთესო ვენახების

ქახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **ეტრუშა მაქაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—20)

სიკვდილამდე
დაზღვევა
უბედურებისაგან
რკინის გზებითა და წყლით მოგზაურობის დროს

შეიძლება „როსია"-ს საზოგადოების გამგეობაში (პეტერბურგი, მორსკაია, 37), განყოფილებაში ქ. ტფილისში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების ყველა აგენტებთან იმპერიის ქალაქებში.

(6—117—4)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ნ. ტ. მულინი.—ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს ოგი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ბ.
(წდ.) ტელეფონი № 274.

ახლად გახსნილი მაღაზია
ხატებისა და ყოველივე საეკლესიო სამკაულისა
კ. დ. კოზახიძისა.

ბლომად მიღებულია ხატები, ხატების ჩარჩოები და ყოველივე ეკკლესიური სამკაული. მიიღება შეკეთება. ქალაქ გარეთ დაკვეთილი იგზავნება დაუყოვნებლივ.

მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში არმიანსკი და სოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თუმანოვისა. (8—6.—7).

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შინაგან, ნერვებით და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს. დილით 10—12 საათ., საღ. 5—7 საათ.

რეუტოვის ქუჩა, № 6.

(10—124—7)

ქ. ქუთაისში
ექიმი გაბრიელ იოსების ძე
გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდეს, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—5.—1)

მთავრობის განცხადება

„კავკაზ"-ში დაბეჭდილია:

1903 წელს, 18 ივლისს, მე, ტფილისის გუბერნატორმა, კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ 1902 წელს 18 იანვარს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით, რომელიც წეს რიგისა და მშვიდობიანობის დარღვევას შეეხება, დავადგინე: პოლიციის მოთხოვნილების შეუსრულებლობისა და ქუჩაში ყრილობების მოხდენისათვის დაპატიმრებულ იქმნენ.

სამის თვით:

1. შახვედროვი სერგო (ზეინკალი), 2. კაპანაძე პავლე (პურის მცხობელი), 3. პაისურაძე რაჟდენ (პურის მცხობელი), 4. მიქაძე გიორგი (თერძი), 5. თურქაძე ვასილ (ტრამვაის კონდუქტორი), 6. გელიკურაშვილი გრიგოლ (ტრამვაის კონდუქტორი), 7. გიორგობიანი გიორგი (რკინის გზის ხელოსანი), 8. ალასანია სამსონ (ზეინკალი), 9. ბენდუქიძე დიმიტრი (ზეინკალი), 10. ალაჯანოვი მანუკა (მლებავი), 11. ოდგომელოვი დავით (თამბაქოს ქარხნის მუშა), 12. მანჯოიანცი ხაჩატურ (ნოქარი).

ორის თვით:

1. სანაძე ლავრენტი (ზეინკალი), 2. ხურცელოვი პეტრე (ქუჩის მგველი).

თვე ნახევრით:

1. ლებანიძე გალაქტიონი (პურის მცხობელი), 2. გრუზელაძე გიორგი (მღებავი), 3. სიმონოვი ჰოანეზ (მღებავი), 4. გძელიძე ალექსი (პურის მცხობელი).

დაპატიმრების ვადა ითვლება ამა წლის 17 ივლისის 9 საათიდან.

* * *

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ლორდთა პალატამ პირველ წაკითხვის შემდეგ დაამტკიცა ირლანდიის სადგილ-მამულო და ლონდონის სასკოლო რეფორმის კანონ-პროექტები.

◆ 10 ივლისს ლორდთა პალატას საფინანსო პოლიტიკაზე ჰქონდა ლაპარაკი. კამათის დროს ახალი არა უთქვამთ-რა, მაგრამ ეს კამათი იმით იყო საინტერესო, რომ კოლონიების მინისტრს არც ერთი გამოჩენილი უნიონისტი არ გამოესარჩლებია.

კამათი „ახალგაზრდა ტორიების" პარტიის წევრმა ლორდმა ლიტონმა დაიწყო. ორატორმა მოახსენა პალატას, ბირმინჰამის ლიბერალ-უნიონისტების ასოციაციის სატარიფო კომიტეტი მრავალ ბროშიურასა და ფურცელსავრცელებს და ხალხს პროტექციონიზმის შემოღებას ურჩევსო. შემდეგ ლიტონი დევონშირის ჰერცოგს შეეკითხა, ამ ფურცლებს ჩემბერლენის რჩევით და დარიგებით ავრცელებენ და რასაც ამ ფურცლებში ჩემბერლენის პოლიტიკის სახელით სწერენ, იმის პასუხის გებას მთავრობა თავის თავზე ჰკისრულობს, თუ არაო. დასასრულ, თუ მთავრობაც ჩემბერლენის აზრს ეთანხმება, როდის გააცნობს პარლამენტს თავის საფინანსო პოლიტიკასო. დევონშირის ჰერცოგმა შემდეგი უპასუხა: ხსენებული ფურცლები ჩემბერლენის რჩევითა და დარიგებით ვრცელდება, თუმცა ჩემბერლენი სატარიფო კომიტეტის წევრად არაარ. მთავრობა ამ ფურცლების შინაარსისათვის პასუხის გებას არა ჰკისრულობს და ამიტომ თავის თავს მოვალედ არა სთვლის, პარლამენტს თავისი საფინანსო პოლიტიკა გააცნოს; ყოველ შემთხვევაში ამ პოლიტიკას მთავრობა ეხლანდელ სესიის დასრულებამდე არ განმარტავსო. ამის შემდეგ რამდენმამე კონსერვატორმა ლორდმა ილაპარაკა: ჯელესმა, კროსმა, ნორტბრუკმა და სხვ. ესენი ამტკიცებდნენ, ერთი მინისტრი (ჩემბერლენი) თავის ამხანაგების დაუკითხავად მოქმედებს; ეს სწორედ არასა ჰგავს და ამისთანა ამბებს მალე უნდა მოეღოს ბოლოო. ლორდ კროსმა სთქვა: „მთავრობა თავის პარტიის წინამძღოლი უნდა იყოს; თუ მთავრობა ხალხს არ მოსწონს, ხალხი უსათუოდ დასცემს ამისთანა მთავრობას. მაგრამ როცა მინისტრები სხვა-და-სხვა პოლიტიკას მისდევენ, ეს მხოლოდ ხალხის გონებას აურ-დაურევს. დევონშირის ჰერცო-

ფელეტონი

სერგეი მესხი

მისის ამხანაგების დახასიათებით.

(† 21 ივლისს 1883 წ.)

ხვალ, ორშაბათს, 21 ივლისს სრულდება ოცის წლის თავი სერგეი მესხის გარდაცვალების შემდეგ. მე არ მინდა აქ გავაცნო მკითხველს საზოგადოებრივი იდეალები და მისწრაფებანი, საზოგადო მოღვაწეობა ამ მეტად იშვიათი პუბლიცისტისა. შემოდგომაზე გამართული იქნება განსვენებულის სახელის პატივსაცემლად შესაფერი დღესასწაული—სალიტერატურო საღამო, და მაშინ ვეცდები, შეძლებისა და გვარად, დავახასიათო სამაგალითო მოღვაწე და ქართული ჟურნალისტიკის გმირი—მუშაკი. ეხლა კი მკითხველს გავაცნობ, თუ როგორ უყურებდნენ და აფასებდნენ განსვენებულს ს. მესხს მისი ამხანაგები და მისი დროის პირები.

ს. მესხი გარდაიცვალა აბასთუმანში 1883 წლის 21 ივლისს ნაშუადღევს მესამის ნახევარზე, გულის ანევრიზმით. სერგეი სამი კვირის წინ გაემგზავრა აბასთუმანს ოჯახობით. ყველას გაუკვირდა მისი იქ მისვლა, რადგან აბასთუმანის წყალი მისთვის მაწყენარიც იყო და არც ერთს ექიმს არ ურჩევია მისთვის იქ წასვლა. სერგეის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. 19 ივლისს ექიმმა გოპაძემ შეატყო, რომ რამდენისამე დღის სიცოცხლე დარჩენოდა ავადმყოფს. ამ დღიდან გულის ტკივილმა და ხველამ უფრო უმატა. გარდაცვალების დღეს ავადმყოფი თითქმის უკეთ შეიქნა, სიმარჯვე შეეტყო, მოსვენდა, საჭმელიც ჭამა ცოტა. მაგრამ ნაშუადღევს აუტყდა ხველა და ნამეტანს შესწუხდა. „აქ გასკდა რაღაც!.. გული გასკდა!" შესჩიოდა თავის უმცროსს ძმას, რომელიც გამუდმებულ მასთან იყო. ექ. გოპაძე შევიდა ავადმყოფთან დასამშვიდებლად და თბილი ვანის გაკეთება მოუნდომა, მაგრამ განსვენებულმა დაიწყო ყვირილი: „თავი დამანებეთ, მაცალეთ სიკვდილი!" მართლაც რამდენიმე წამის შემდეგ ავადმყოფი საუკუნოდ გამოეთხოვა ამ წუთის სოფელს და მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „მშვიდობით... მშვიდობით...", თითქმის ამ სიტყვებით უანდერძებდა ყველას მშვიდობას, რომლისთვის ბრძოლას შეაკლა მან თავი და რომელიც, საუბედუროთ, მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლით მოიპოვების ამ დედამიწაზე.

ვინც დაახლოვებით არ იცნობს საგაზეთო მუშაობას, იმისთვის ძნელი გასაგებია, თუ რამდენი წვრილი, უხილავი და მძიმე შრომა აწევს მეგაზეთეს. ეს შრომა დღესაც მძიმე და ადამიანის უდროოდ წელში მომხრელი და სიცოცხლის მომსპობია, დღესაც, როდესაც ყოველს ქართულს გაზეთს სამი და ოთხი მუდმივი თანამშრომელი ჰყავს რედაქციაში, რომელნიც ცოტათი მაინც უზრუნველ ყოფილნი არიან ქონებრივად. მაგრამ რა უნდა ყოფილიყო გაზეთისათვის მუშაობა ს. მესხის დროს, როდესაც ხშირად ერთი კაცი შეადგენდა რედაქციას, ერთი სწერდა მოწინავეს, ფელეტონს, ასწორებდა კორესპოდენციებს, თარგმნიდა დეპეშებს, აკეთებდა კორექტურას და იმავე დროს იმავე ერთს ადამიანს აბაზობით და კეპეიკობით უნდა ეშოვნა და შეეკრიბა როგორმე ფული გაზეთის ქაღალდისა და დაბეჭდვისათვის. დღევანდელი დარიბი ქართული რედაქცია არისტოკრატიული დაწესებულებაა „დროების" რედაქციასთან შედარებით. 14 წლის განმავლობაში განსვენებული ს. მესხი თითქმის თავაუღებლივ იჯდა სარედაქციო სტოლთან, მუდამ რაღაცას სწერდა, ჩხრეკდა, მუდამ რაღაცასასწორებდა, ან ასოთ-ამწყობთა ტყვიის და რკინის მტვრით მოწამლულ ჰაერში დატრიალებდა. ასე გამუდმებული მარტო მექანიკური შრომაც დღილავს ადამიანს და უდროვოდ გამოასალმებს ამ სოფელს. მაგრამ ს. მესხი მარტო მექანიკურად არ მუშაობდა, არ სწერდა მარტო მელნით, არ სწერდა მარტო ასოებს და სიტყვებს. მის მიერ ყოველ დაწერილ სიტყვაში ცოცხალი სული იყო ჩაბერილი, სისხლი იყო ჩაყოლებული, როდესაც ასწორებდა, ცდილობდა მეტი სიცოცხლე, მეტი მოძრაობა და სიმართლე მიეცა ფრაზებისათვის. ხშირად მოხდებოდა, რომ ცენზორი სულსა და გულს გამოაცლიდა ნაწერს, სერგეი დიდხანს ჩაუჯდებოდა მაშინ გაზეთის ფურცელს და ჰფიქრობდა, როგორმე გამოეცოცხლებინა წერილი და წერტილების დასმით მაინც ეჩვენო მკითხველისათვის თავისი ტკივილი და დარდები. განსვენებული თავს არ ანებებდა გაზეთს, ვიდრე ყოველი დაწერილი სიტყვა არ დაიბეჭდებოდა, არ გასწორდებოდა და არ დამზადდებოდა სრულიად. მერეც, როცა გაზეთი უკვე გამოვიდოდა, სერგეის სული და გული თან მისდევდა გაზეთის ნომერს, რომ გაეგო, თუ როგორ მოხვდა მკითხველის გულს ესა თუ ის წერილი, როგორ აამოძრავა მისი სული და როგორ აგრძნობინა ის, რასაც გრძნობდა თვითონ დამწერი...

ასეთი ცხოვრება 14 წლის განმავლობაში ჭეშმარიტად უდრის ბევრის ცხოვრებას რამდენისამე საუკუნის განმავლობაში, ჩ ს. მესხ კიდეც შემოელია სიცოცხლის ძალა, გაშრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი ისევ ტრიბუნაზე ავიდა. ჰერცოგი არწმუნებდა პალატას, მოთმინება იქონიეთ და „გამოკვლევას“ დასრულებას მოუცადეთო. ორატორმა სთქვა: „არ მესმის, რისა გეშინიანთ, განა თავისუფალ ვაჭრობას ეგეთი დიდი საფრთხე ემუქრის? რაც უნდა მძლავრი კაცი იყოს, მაინც ამ დიდებულ შენობას ცალიერის ყვირილით ვერ დაანგრევს. მე უკეთესის აზრისა ვარ თავისუფალ ვაჭრობაზე. ჩემის აზრით, თავისუფალ ვაჭრობის მომხრეთ ჩემბერლენის პოლიტიკა უნდა გაარჩიონ და, მგონია, არც გაუჭირდებათ იმისი დამტკიცება, რომ ჩვენის საფინანსო პოლიტიკის გამოცვლა არა თუ ჩვენს საფინანსო მდგომარეობას არ გააუმჯობესებს, პირიქით, დიდ ზარალსაც მოუტანს. გვეუბნებიან, რადგან მინისტრებს უთანხმოება მოსდით, საჭიროა ვინმე სამსახურიდან გადადგესო. აბა ვინა? ჩემბერლენი? იქნება განზრახულმა გამოკვლევამ დაამტკიცოს, რომ ჩემბერლენი მართალია? მაშინ ისევ უნდა დავაბრუნოთ, არა? ან იქნება, სამსახურიდან ჩვენ, თავისუფალ ვაჭრობის დამცველნი, უნდა გადავდგეთ? მაგრამ ამით მხოლოდ პროტექციონისტებს გავახარებთ“.

კამათის დასასრულს ლორდ როზბერიმ ილაპარაკა. როზბერიმ სთქვა: დევონშირის ჰერცოგის მინისტრობა ძლიერ სასურველია, მაგრამ მთელის კაბინეტის ეხლანდელი ქცევა კონსტიტუციას ეწინააღმდეგებაო.

◆ გაზეთები იუწყებიან: ლორდ როზბერიმ უარი სთქვა და „ფრიტრედერთა ასოციაციის“ (თავისუფალ ვაჭრობის დამცველთა საზოგადოების) წევრად არ ჩაეწერაო.

საფრანგეთი. მთავრობამ გამოუცხადა ნება-დართულ კონგრეგაციებს, ყველა დაწესებულება (სკოლები, საავადმყოფოები და სხვ.), რომლებიც სენის დეპარტამენტში მთავრობის დაუკითხავად გაჰხსენით, 1 აგვისტომდე უნდა დაჰხუროთ, რადგან მთავრობამ თქვენი თხოვნა უარ-ჰყოო. ეს კონგრეგაციები სთხოვდნენ მთავრობას, ნება მოგვეცით ჩვენმა სკოლებმა საავადმყოფოებმა და სხვა დაწესებულებათ მოქმედება განაგრძონო. ამნაირი დაწესებულება სულ 43 ყოფილა.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ავსტრიის ვაჭრობის მინისტრი კალი ბუდაპეშტში ჩავიდა იმ აზრით, რომ ჰუნგრეთის მთავრობასთან სატამოჟნო ტარიფებზე მოლაპარაკება გაემართა. ჰუნგრეთის მთავრობამ გადაჭრით უარი უთხრა იმ საბუთით, რომ სატამოჟნო ტარიფი საფინანსო და სავაჭრო შეთანხმებასთან უნდა გაირჩეს, ამიტომ ცალკე სატამოჟნო ტარიფზე მოლაპარაკების გამართვა შეუძლებელიაო. კალი ვერაფერს გახდა და ხელ-ცარიელი ისევ ვენას დაბრუნდა.

◆ ჰერცოგოვინაში ჯარის ალლუმი ყოფილა. ალლუმის დროს ჯარი ისე შეწუხებულა, ისე დაქანცულა, რომ 450 კაცს გული შეღონებია და გრძნობა დაჰკარგვია სიცხისაგან, 19 ჯარის-კაცი მომკვდარა და 40 ძლიერ დაშავებულა. სიცხის გარდა, ჯარი სიარულსაც შეუწუხებია; 15 საათი ზედიზედ დაუსვენებლივ უტარებიათ.

◆ ამას წინად ჰუნგრეთის სეიმში დიდი პოლიტიკური სიტყვა წარმოუთქვამს სეიმის თავმჯდომარე გრაფ აპონიის. თავმჯდომარეს უფლება არა აქვს პარლამენტის კამათში გაერიოს; ასეა წესად დადებული. ყველას გაუკვირდა, როცა აპონიიმ ლაპარაკი დაიწყო საკამათო საგანზე. ამიტომ თითონ აპონიიმაც თავდაპირველად სთქვა: კამათში იმიტომ ვერევი, რომ ჰუნგრეთი ამ ჟამად დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილიო. ორატორმა დიდის ქებით მოიხსენია პირველი მინისტრი კუენ-ჰედერვარი და დაუმატა, სამინისტროს პროგრამას ყველაფერში ვეთანხმები, თუმცა ჰუნგრეთის ეროვნულ მოთხოვნილებაზე ხელი არ ამიღიაო. ოპოზიციის მოთხოვნილების წინააღმდეგ ვერას ვიტყვი, მაგრამ იმისი ტაქტიკა-კი მეტად ცუდიაო. ჰუნგრეთის ეროვნულ მოთხოვნილების ასრულებას და კერძოდ ჰუნგრეთის პოლკებში ჰუნგრულ ენის შემოღებას ნელ-ნელა უნდა ვეცადნეთ, რადგან ამ საქმეს გზაში მრავალი დაბრკოლება უდევს წინაო. ოპოზიციის მკაცრი ტაქტიკა არაფრად აგდებს ამ დაბრკოლებას და თხოულობს, რომ ყველა ეროვნული მოთხოვნილება ერთბაშად იყოს შესრულებული. ესეთი ტაქტიკა არა თუ საქმეს არასა ჰშველის, პირიქით, აბრკოლებს და ხელს უშლის. სასტიკ ღონისძიების მიღება ეხლა სრულებით საჭირო არაა, რადგან იმპერატორი მტრულად როდი უყურებს ჰუნგრეთის მოთხოვნილებასა და იმპერატორის მთავრობას ყოველთვის შეგვიძლიან მშვიდობიანად მოურიგდეთო. აპონიიმ დაწვრილებით ილაპარაკა ჰუნგრულ ენის შემოღებაზე ჰუნგრეთის პოლკებში: ორატორი არ ეთანხმება ოპოზიციის აზრსა, ვითომ 1867 წლის კონსტიტუციის ძალით ჰუნგრეთის პოლკებში სამსახურის დროს ჰუნგრული ენა უნდა იხმარებოდესო, და ჰფიქრობს, რომ ჰუნგრეთი ამ შემთხვევაში ადრე გამოცემულ და ჯერ შეუსრულებელ კანონის ასრულებას კი არა, სულ ახალ კანონის გამოცემას თხოულობსო.

აპონიის სიტყვა დიდის ყურადღებით მოისმინა პარლამენტმა, ხანდახან თითონ ოპოზიციაც კი დიდს თანაგრძნობას უცხადებდა, მაგრამ პრაქტიკული ნაყოფი კი არაფერი არ მოიტანა ამ სიტყვამ; ოპოზიცია დღესაც არ იღებს ობსტრუქციაზე ხელსა. ოპოზიცია თავის კერძო ინტერესებსაც არად აგდებს. რადგან ესენი ისევ თავიანთ მკაცრ ტაქტიკას მისდევენ, გრაფ აპონიიმ გამოაცხადა, „მთავრობას ვერა ვსთხოვ, რომ დეპუტატებს ჯამაგირები დაურიგოსო“, თავის ნებით კი მთავრობაც არ აძლევს ჯამაგირებს. ასე რომ ეხლა ჰუნგრეთის დეპუტატები არ იღებენ დაწესებულ ჯამაგირს.

იტალია. რომიდან იწერებიან: პაპი ჯერ მხოლოდ დროებით დაკრძალეს. ლეონ მე-XIII-ის გვამს ერთის წლის შემდეგ სხვა საფლავში დაჰკრძალავენ. თავისი ანდერძი განსვენებულ პაპს 1900 წელს 9 ივლისს შეუდგენია. მამა-პაპური ქონება პაპს თავის ნათესავებისათვის უანდერძნია. დანარჩენი ქონება ეკლესიისათვის დაუტოვებია, რადგან ეს ქონება, თვით საჩუქრებიც-კი, პაპობის დროს ჰქონდა ნაშოვნი. რამდენი ფული დარჩა პაპს, ჯერ სწორედ ვერ შეიტყეს. არც ანდერძის შინაარსი იციან დაწვრილებით.

პაპის ტახტის ყველაზე გავლენიან კანდიდატებად ამ ჟამად რამპოლასა და ორელიას სთვლიან. ვანუტელის არჩევის იმედი აღარა აქვთ; არც ენდობიან და ამას გარდა, მრავალი ნათესავიცა ჰყავს. იტალიანურ გაზეთებს თუ დაუჯერებთ, ორელიას 25 მომხრე ჰყავს: ამათგან 18 რომაელი კარდინალია და 7 ავსტრიელი და გერმანელი. რამპოლას ეხლა 27 მომხრე ჰყავს: ამათგან 11 რომაელი კარდინალი, 4 იტალიელი, 5 ისპანიელი და 7 ფრანგი; ესენი დელკასეს რჩევით შეერთდნენ. პაპად არჩევისათვის 42 ხმაა საჭირო.

13 ივლისს კარდინალებმა კრება მოახდინეს და მომავალ არჩევნისათვის აღმსარებლად იეზუიტი პალმიერი აარჩიეს. კარდინალების მეოთხე სხდომის დროს, სხვათა შორის, გამოაცხადეს, რომ პაპიმ 50 ათასი ლირა რომის ღარიბებს უანდერძა, პერუჯის ღარიბებს—30 ათასი და სოფელ კარპინეტოს ღარიბებს—10 ათასი ლირაო. კარპინეტო—პაპის სამშობლო სოფელია.

ახალი ამბავი

◆ **იმ უბედურების გამო**, რომელიც ცაპინის შენობის აგების დროს მოხდა, ტფილისის გუბერნატორმა გუშინ მოსთხოვა ქალაქის მოურავს ზოგიერთი ცნობები. გუბერნატორს ჰსურს გაიგოს, როგორ ადევნებს თვალ-ყურს თვით მმართველობა სახლების შენებას, მიწის თხრას და სხვას. აგრეთვე უნდა გაიგზავნოს ცნობები ცაპინის მამულში მომხდარ უბედურების შესახებ: რომელი ტეხნიკოსი ადევნებდა თვალ-ყურს შენობას, და რა ზომები იქმნა მიღებული, რომ მიწა არ დაქცეულიყო და სხვა.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი** გენერალი ფონ-ვალი უკვე წამოსულა პეტერბურგიდან ბაქოში საგანგებო მატარებლით.

◆ ცხენის რკინის გზის ვაგონების წესიერი მიმოსვლა ტფილისში დაიწყო გუშინ, 19 ივლისს. რადგან **კონდუქტორთა და ქუჩერთა** უმრავლესობამ დაიწყო მუშაობა იმ პირობებით, რა პირობებითაც წინად მუშაობდა.

◆ 17 ივლისს, ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე, რკინის გზის სახელოსნოებიდან სახლში მიდიოდა **ვაგონების ცეხის ბრიგადირი** ნაუმოვი. როგორც სჩანს, ნაუმოვთან რაღაც მტრობა ჰქონიათ: წამოსწევიან ვიღაც უცნობნი და რევოლვერი დაუხლიათ.

◆ ტფილისის საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტმა მაზრის უფროსებს დაუგზავნა განსაკუთრებული ბლანკები, სადაც უნდა ჩაიწერონ **ცნობები მოსავლის შესახებ**. უნდა ჩაიწერონ ცნობები ყოველგვარ ნათესის შესახებ: პურისა, ქერისა, სიმინდისა, ბამბისა. უნდა დამზადდეს ყველგან ორ-ორი ბლანკი ერთი პეტერბურგს გაეგზავნება მთავარ სასტატისტიკო კომიტეტს, მეორე ტფილისს კავკასიის კომიტეტს.

◆ ტფილისში ახლად დაარსებულ **ბებიაქალთა საზოგადოების** თავმჯდომარემ, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება დაერთო მოეწყო ქალაქის სამკურნალოებთან ბებიაქალთა მორიგეობა. გამგეობამ ეს განცხადება განიხილა 18 ივლისის სხდომაზე, სასარგებლოდ სცნო მორიგეობა და დაადგინა ნება დართოს. ბებია ქალთა მორიგეობა გაიმართება როგორც ცენტრალურ საავადმყოფოსთან, ისე ხარფუხისა, კუკიისა და ავლაბრის განყოფილებებთან. მორიგეობის წესს შეიმუშავებს სასანიტარო სამკურნალო საბჭო.

◆ მომავალ კვირაში ტფილისის პალატის გამგის მიხაილოვის თავმჯდომარეობით დაიწყება სხდომები გადასახადთა გამწერ საკრებულოსი. საკრებულომ უნდა გააწეროს **საერობო გადასახადი** ტფილისის გუბერნიის სოფლის მცხოვრებლებს.

◆ **გორის ქალაქის თვით-მართველობა** აქამდე ადგილობრივ პოლიციის შესანახად იხდიდა 1696 მან. მთავრობამ ამა მიმდინარე წლიდან მეტი ფული შეაწერა. ამის გამო, დეპუტატთა გადაწყვეტილების თანახმად, გუშინ-წინ გორის მამასახლისმა სთხოვა გუბერნატორს იშუამდგომლოს, რომ ქალაქს 1696 მანეთზე მეტი არ გადაახდევინონ.

◆ **ზაქათალაში არსებობს** ქალთა პირველდაწყებითი სასწავლებელი. უმაღლესის ბრძანებით, 1904 წლის 1 ივლისიდან ეს სასწავლებელი უნდა გადაკეთდეს მარიამის სახელობის სასწავლებლად. დღეს ამ სკოლაში ბერძნულსა და სომხურ ენებსაც ასწავლიან, მამავალ წლიდან-კი ორივე ენა მოისპობა.

◆ 16 ივლისს, ღამის 11 საათზე, **ბაქოში კიდევ გაჩენილა ცეცხლი.** დამწვარა რამდენიმე კოშკი ნავთისა. ცეცხლმა ისე შეა-

---

მისი სისხლი, დაუსუსტდა ძარღვები. 1883 წლის მაისის პირველ რიცხვებში იგი იძულებული შეიქნა, გაეგდო კალამი ხელიდან, გადასცა გაზეთი ივ. მაჩაბელს და შემდეგის მწარე და გულითადის სიტყვებით გამოეთხოვა მკითხველებს (თუმცა დროებით, ეგონა განსვენებულს)... „ავად იყო თუ კარგად, ყველა დაბრკოლებას გადავრჩით და როგორც იყო, დღევანდლამდის მოვატანეთ. და დღეს ამის თქმა თამამად შემიძლია, რომ მე უდაქო, შეუმწიკვლელი, პატიოსანი გაზეთს ვაბარებ ახალს რედაქციას... შეიძლება, 14 წლის განმავლობაში ჩემს ხელში ბევრი რამ შესცოდა გაზეთმა, იქნება მრუდე გზაზედაც გადაუხვია, იქნება ჯეროვნად ვერ შეასრულა, რაც უნდა შეესრულებინა, რაც იმის მოვალეობას შეადგენდა. მაგრამ ორი რამეს თქმა თამამად შემიძლია და ამის თქმას მე, თავდაბალ კაცს კვეხნად ვერავინ ვერ ჩამომართმევს:

„პირველი, რომ ერთგული ვიყავი იმ დიდ საქმის ასრულებაში, რომელიც ვიკისრე, და მეორე—რომ ბოროტ განზრახვას, კერძო პიროვნულ რამე მიზანს ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი და ამ განზრახვით არ გადამიხვევია იმ გზიდან, რომელიც მე ჩემის სინიდისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზად მიმაჩნდა“.

ასე მარტივად და იშვიათის სინამდვილით გვიხატავს ს. მესხი გაზეთის—საზოგადოებრივის ორგანოს მოვალეობას, რომლის უმთავრესს ღირსებას შეადგენს ზნეობრივი უმწიკვლობა, რომლის არსებობას არავითარი აზრიც არა აქვს, თუ იგი მოკლებულია ზნეობრივს სიწმიდეს, რომელიც უამისოთ ვერავითარ ნდობას ვერ მოიპოვებს საზოგადოებაში, ვერ ემსახურება მის ამაღლებას, პირიქით კიდევ უფრო დასცემს ძირს და გარყვნის საზოგადოებას. ყოველმა გაზეთმა, ყოველმა მწერალმა, ყოველმა საზოგადო მოღვაწემ ასეთი კითხვა უნდა მისცეს თავის თავს: პირად ანგარიშს, ანგარებას რაიმე ადგილი აქვს მის მოქმედებაში? და თუ „ჰო“, მაშინ მას არავითარი უფლება არა აქვს, ერთს წუთსაც არის, დარჩეს საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამ კანონის წმინდათ დაცვა ყველაზე მეტად ამშვენებს ს. მესხის სახელს. მაგრამ მას თითქოს რცხვენოდა იმის თქმა, რაც მის არსებას და დიდებას შეადგენდა და ბოლოშიც კი მოიხადა მკითხველების წინაშე ასეთის თავმდაბალ აღიარებისათვის: „არასოდეს არ მიყვარდა, სწერდა: ჩემს თავზე, ჩემს პიროვნებაზე ლაპარაკი, მაგრამ დღეს, როდესაც უკანასკნელად ველაპარაკები და ვეთხოვები ჩემს მკითხველს, იძულებული შევიქენი, ეს ორიოდე სიტყვა ჩემზე, ჩემს პიროვნებაზე მეთქვა“. განსვენებული ასე მწარედ ათავებს გამოსათხოვარს წერილს: „ყველა გაიგებს, თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილ-კაცობის ძალღონე, ჩემი ჭკუა გონება და, ერთის სიტყვით, ჩემი არსება შევსწირე“.

ვერავინ და ვერაფერი ვერ ჩაგვახედებდა ასე ს. მესხის სულსა და გულში, როგორც ჩაგვახედა მისმა უკანასკნელმა აღსარებამ. მისთანა წრფელი, წმინდა და პატიოსანი მუშაკი იშვიათია საზოგადო მოღვაწეთა შორის. გულმკვდარი, ეგოისტი, შურიანი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ არ მიეზიდა იგი და თანაგრძნობა და სიმპატია არ გამოეწვია მასში ს. მესხის უანგარო და თავგანწირულს ბუნებას. ივ. მაჩაბელი შემდეგის სიტყვებით მიეგება სერგეის გამოთხოვებას: მკითხველის არ ვიცი, მაგრამ მე რომ ვკითხულობ სერგეის წერილს“, ავადმყოფობისა და უძლურობისა გამო, საუბედუროდ, იძულებული ვარ, გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგევ საყვარელს გაზეთს და იმის მკითხველსო“, ამბობს ი. მაჩაბელი: „ტანში ჟრუანტელი მირბენს, კალამი ხელიდან მივარდება და ეს სიტყვები მადგება ენაზე: გმადლობთ, წრფელის გულითა გმადლობთ საზოგადოების გულისთვის წამებულო, ქართულის ერთად-ერთის გაზეთის მომამაგევ!“. ალ. ყაზბეგმა კი ასეთი ღია წერილი მისწერა „დროების“ ფურცელზე განსვენებულს: „კარგად მიგყავდა გაზეთი, თუ ავად, ამაზე ლაპარაკი არც მინდა და არც დრო არის. მე ვიცი მხოლოდ, რომ 14 წლის განმავლობაში შენ თავი არ მოგიხრია არც შიმშილისა, არც წყურვილის წინ, შენთვის თავი ვერ მოუდრეკინებია გაჭირვებას და გმირულის მამაცობით გიბრძოლია ქართულის სიტყვის გასავრცელებლად. მე მინახიხარ ისეთ გაჭირვებაშიაც, როდესაც გათოშილს თითებს ითბობდი პირის ორთქლით, რომ გაგვგრძელებინა წერილი და მახსოვს, რომ ამავე დროს მთელი შენი აზრი მიპყრობილი ყოფილა გაზეთის ქაღალდის ფულის შოვნისათვის“.

9 მაისს რედაქცია და საზოგადოება გამოეთხოვა ავადმყოფს მწერალს და სადილი გაუმართა. სამართლიანად სწერდა ამის გამო „დროების“ ახალი რედაქცია: „ჩვენში ძნელად მოიპოვება საზოგადო ასპარეზზე მოღვაწე კაცი, რომელსაც ასე პატიოსნურად, ჩირქ-მოუცხებლად და შეუმწიკვლელად დაეცვას ბოლომდე თავისი სახელი, როგორც ს. მესხმა დაიცვაო“. ღირსეულადაც დააფასა საზოგადოებამ ავადმყოფი მწერალი. ყველა წოდების, მიმართულების და პროფესიის წარმომადგენელნი შეერთდნენ ს. მესხის პატივსაცემლად, სადილზე თავი მოიყარა ასმა ქალმა და კაცმა, მწერალმა და მკითხველმა. ბევრი სიტყვა იყო წარმოთქმული; სიტყვა სთქვა, სხვათა შორის, ბ. აკაკიმაც, რომელმაც ასეთნაირად დაახასიათა ს. მესხის მოღვაწეობა: „...მცირეა მათი რიცხვი, რომელთაც ბოლომდის გაატანეს და ერთი მათგანი ს. მესხია. მაგას რომ უთხრათ: აბა სად არის შენი მისთანა ღვაწლი, რომელიც ყველასათვის სათვალ-და-თვალო და საშვილიშვილოდ საგანძო იყოს-თქო! მაშინ ეს, როგორც ყველა მაგის ამხანაგი, ვერას გიპასუხებს, მაგრამ თუ მოვიგონებთ დროს, გავსინჯავთ იმ სხვა-და-სხვა სარბიელს, რომელზედაც მაგი მდგარა, შევაერთებთ და ავსწონით, მაშინ კი გამოდგება დიდებული რამ, რომლისათვის საჭირო იყო მაღალი ნიჭი, სულისა და ხორცის ძლიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინა თურმე ბალახანა-საბუნჩის მცხოვრებნი, რომ ბევრი ქალაქში გადასახლებულა.

◆ სოფ. **დიდმის დროებით ვალდებულ გლეხებს**, 47 კომლს, როგორც „ტიფ. ლ." გადმოგვცემს, შუამდგომლობა აღუძრავთ მთავარ-მართებლის წინაშე. თხოულობენ, ნება მიეცეთ გამოისყიდონ სანადელო მიწები. ეს შუამდგომლობა მთავარ-მართებლის კანცელარიას ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის გადაუცია საჭირო ცნობების შესაკრებად.

◆ საბურთალოს სახლებისა და ადგილების პატრონნი ჰფიქრობენ საბურთალო ტფილისს **ელექტრონის რკინის გზით** შეუერთონ.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ **ფუნიკულერის გამგებმა** საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას წარუდგინა ბეთ 50 ათასი მანეთი. ამის გამო გამგეობამ გადასწყვიტა შეადგინოს ხელშეკრულება.

◆ **უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ტფილისის თვით-მმართველობამ საკუთარი აფთიაქი იჯარით დაუთმო პროვიზორს იანუსიანს წელიწადში 4,000 მანეთად. 16 ივლისს აფთიაქი უკვე ჩაჰბარდა იჯარადარს.**

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა ერთის თვით განთავისუფლოს საქმისაგან ქალაქის ქიმიკოსი გ. გ. ალიბეგოვი და იმისი თანამდებობა მიენდოს თანაშემწეს ახუმოვს.

◆ ტფილისის მეათე უბნის პოლიციამ შემდეგი ქურდობა აღმოაჩინა. იუნკერთა სასწავლებელში მოსამსახურე აფიცერი პეტროვსკი საზაფხულოდ სურამში წასულა და თავის სადგომის თვალყურის ჭერა დენშჩიკისთვის დაუვალებია. მეზობელი აფიცერიც ასევე მოქცეულა და თავისი სადგომიც იმავე დენშჩიკისათვის გადაუცია. დენშჩიკს უსარგებლნია ამით და შესდგომია ნივთების ყიდვას. ზოგი ხალიჩა, 200—300 მან. ღირებული, 30—40 მან. გაუყიდნია. მეზობლებს ეს ამბავი პოლიციისთვის უცნობებიათ, რომელსაც გაყიდული ნივთები უპოვნია კიდეც. სულ 4000 მან. ნივთები გაუყიდნია. დენშჩიკი სადღაც დამალულა.

◆ ივნისის განმავლობაში ქალაქ ტფილისის კასაში შემოსულა დასაფასებელი გარდასახადი—34,418 მან. 74 კაპ., სატრაქტირო დაწესებულებათაგან—6389 მან. 62 კაპ., ქალაქის მიწებისაგან საიჯარო გარდასახადი—5942 მან. 69 კაპ. ქალაქის წყლის მილისაგან 21,305 მან. 56 კაპ. საყასპოსაგან 4770 მან. 48 კაპ. სულ 88,413 მან. 74 კაპ.

◆ რიყის ქუჩაზე პოლიციელებმა დაიჭირეს სპარსეთის ქვეშევრდომი ბაირამ აკულ-ოღლი, რომელსაც ცხვრები მოეპარა ტფილისის მცხოვრებ სარქის ყაზაროვისათვის.

რუსეთის ქრონიკა

◆ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო კიევში მომხდარ არეულობის ამბავი, რომლის მიზეზი პრიმაკოვის ქალის სიკვდილი იყო. დღევანდელ რუსეთის გაზეთებში საინტერესო ცნობაა მოყვანილი ამ ამბვის შესახებ. ქ. კიევის ექიმმა გასჭრა გვამი პრიმაკოვის ქალისა, რომელმაც ვითომ და პოლიციაში თავი ჩამოიღრჩო, და აღმოჩნდა, რომ მას 5 გვერდი ჰქონია ჩამტვრეული, ტვინში სისხლი ჰქონდა შეგროვილი. და სახე გალურჯებული—ეტყობოდა, ძლიერ ეცემნათ საბრალო ქალისათვის. გვამს არ ეტყობოდა კისერზე ისეთი ნიშნები, რომელნიც ჩამოღრჩობას მოჰყვება ხოლმე. გამოძიება სწარმოებს პოლიციელთა მოქმედების გამოსაკვლევად.

◆ ქ. როსტოვის ექიმს კალმიკოვს საინტერესო მოხსენება წარუდგენია პოლიცმეისტერისათვის. ამ ბოლო დღეებში, ამბობს ექიმი, რამდენიმე მეეტლე მოვიდა ჩემთან სამკურნალო შემწეობისათვის, თავის ტკივილს ჩიოდნენ, რომელიც სიცხისაგან იყო გამოწვეული. ეხლა ხანს ძლიერ დაცხა ქალაქში. მე ვურჩიე მეეტლეებს, თეთრი ქუდები ეყიდნათ, მძიმე შავ ქუდების მაგიერ, რომელთაც ახლა იხურავენ. მეეტლეებმა მიპასუხეს, პოლიცია არა გვაძლევს ნებას ფორმა გამოვიცვალოთო და ვიწვებით თბილ ტანისამოსისა და მძიმე ქუდების მიზეზითო. პოლიციის ამგვარი განკარგულება ერთობ სასტიკად მიმაჩნია. ტყუილა უბრალოდ, ფორმის მიზეზით, როსტოვში ათასი კაცი მეეტლე იტანჯება და სნეულდება. სიცხისაგან გამოწვეული სნეულება საშიშია, მას სიკვდილიც მოჰყვება ხოლმე. მივაქცევ კიდევ თქვენს ყურადღებას ამ გარემოებას და უმორჩილესად გთხოვთ ნება მისცეთ მეეტლეებს, მსუბუქი ქუდები და ტანისამოსი ატარონ.

სასურველია, რომ კავკასიელმა პოლიციამაც მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და ჩვენ პაპანაქება სიცხისაგან გამწარებულ მეეტლეებსაც მოუგვაროს რამე.

◆ გაზ. „რუსკ. ტურქესტ."-ი იუწყება, რომ 25 ივნისს თუქესტანის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე პორუჩიკ ცოცხალოვის შესახებ, რომელმაც რევოლვერით მოჰკლა შტაბ-ოფიცერი ვიტტელი. სასამართლომ ცოცხალოვს დახვრეტა მიუსაჯა, რაიცა სისრულეში მოიყვანეს 26 ივნისს. 1 ივლისს საღამოს პეტერბურგიდან ტელეგრამა მოვიდა, ცოცხალოვს სიცოცხლე აჩუქეთ და უვადოთ კატორგაში გაგზავნეთო.

◆ ყირიმიდან თათრები მრავლად გადასახლდნენ ოსმალეთში და დღესაც არ შეწყვეტილა მათი გადასახლება. რუსეთის გაზეთების ცნობით ზაფხულის მიწურულამდის გადასახლებულთა რიცხვი 50 ათასამდის შედგება. მეორმოცდა-ათე წლებში 200 ათასი თათარი გადასახლებულა ოსმალეთში, დაცარიელდა 270 სოფელი. ყირიმს ძლიერ უნდა დაეტყოს თათრების დღევანდელი გადასახლება. ყირიმში დღეს 200 ათასი მაჰმადიანი ითვლება, ასე რომ ამ ქვეყანას მკვიდრთა მეოთხედი ნაწილი მოაკლდება. ყირიმის გაზეთების აზრით, გადასახლების მიზეზი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობაა.

◆ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია, შემოიღოს რუსეთის ყველა რკინის გზებზე მგზავრთა მატარებლებში ელექტრონით განათება.

◆ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ იმ პირთ, რომელთაც უნივერსიტეტში კურსი არ დაუსრულებიათ, ნება ეძლევათ ბუნების მეტყველების და მათემატიკის მასწავლებლებად შევიდნენ გიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში, მხოლოდ გიმნაზიის მასწავლებელთა ხარისხის მისაღებად დაწესებული ეგზამენი უნდა დაიჭირონ.

◆ საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სახალხო სიფხიზლისთვის სამზრუნველოთ, რომელნიც საერო განათლებისაგან დამტკიცებულ წესისამებრ სახალხო კითხვებს მართავენ, შეუძლიათ გამართონ კითხვები სახალხო სკოლების დირექტორისაგან ნება-დაურთველად. სამინისტროში შემუშავებულია აგრეთვე ახალი წესები უფასო სახალხო-წიგნთ-საცავთა და სკოლებში წიგნების საწყობთა შესახებ. ამ წესებით საწყობებში სახელმძღვანელოთა გარდა სხვა წიგნების გაყიდვა იქნება შემოღებული. სახალხო ბიბლიოთეკების გასამართავად ნებართვა სახალხო სკოლების დირექტორს უნდა ეთხოვოს, რომელიც დამოუკიდებლად გადასწყვეტს ამ საკითხს.

პრესსა

ამას წინად გაზ. „ორლოვ. ვესტ."-მა აღძრა საკითხი პროვინციულ პრესსის წარმომადგენელთა კრების მოწვევის შესახებ. რუსეთის გაზეთები თანაგრძნობით მიეგებნენ „ორლ. ვესტ."-ის აზრს. „ხარკოვ. ლის."-იც თანაგრძნობას უცხადებს „ორლ. ვესტ."-ს და სამართლიანად ამბობს:

> კარგა ხანია, რაც რუსეთში სხვა-და-სხვა პროფესიონალთა კრებები იმართება. ერთგვარი უცნაური წესი ჰსუფევს ჩვენში. იმ პირთ, რომელთა მოღვაწეობა შეზღუდულია, სხვა-და-სხვა განკარგულებათა და ცირკულიართ ექვემდებარება, ნებას აძლევენ, კრებები გაჰმართონ, თავისუფალ პროფესიის მიმდევართ კი არ ეძლევათ ეს ნება, თუმცა ეჭვს გარეშეა, რომ მწერალთა კრება, ერთმანერთში აზრთა გაზიარება, სხვა-და-სხვა ღრმა მნიშვნელოვან საკითხთა განხილვა საერთოდ ფრიად საჭირო და სასარგებლოა საზოგადოებისათვის.
>
> ჟურნალისტთა საუკეთესო ნაწილი ხალხს ემსახურება, სცდილობს განაბნიოს ხალხში დამკვიდრებული უვიცობა, აღზარდოს მათში გრძნობა სამართლიანობის ალტრუისტობის, ხელი შეუწყოს ხალხის კეთილ-დღეობას, პირუთვნელი ნათელი მოჰფინოს ცხოვრების ნაკლს, მის მიზეზებს. ამ ასპარეზზე უშაკთათვის საჭიროა კავშირი იქონიონ ერთმანერთთან, რადგან ერთობა ძალას შეჰქმნის. დღეს კი იმართება კრებები მასწავლებელთა, ტეხნიკის და რკინის გზის სფერაში მომუშავეთა, პრესსის წარმომადგენელთ კი არ აძლევდნენ კრების ნებას.
>
> ძნელია ჩამოვთვალოთ აქ ყველა საგულისხმიერო საკითხნი, რომელნიც უნდა გამოირკვნენ და გადაწყდნენ ლიტერატორთა საერთო კრებაზე. რუსეთის მწერლის ასპარეზი ვარდებით როდია მოფენილი, ისეთი ეკალნარია, რომელშიაც გზის გაჭრა მხოლოდ შეერთებულ ძალ-ღონით შეიძლება. ცხოვრების არც ერთი დარგი არ არის ისე შეზღუდული, როგორც მწერლობა. კანონს ამ სფერაში სულ მცირე მნიშვნელობა აქვს. სხვა-და-სხვა უმნიშვნელო შემთხვევა, პირადი შეხედულება, თვითნებობა—ფრთას უკვეცს და უძლურად ჰხდის მას. მთელ რუსეთში ვერ მოსძებნით ორ ისეთ კუთხეს, სადაც პროვინციალური პრესსა ერთნაირ პირობებშია ჩაყენებული, ყველგან ადგილობრივი ხასიათის დაბრკოლებანი ელობება მას გზაზე.
>
> ბეჭდვითი საქმის უმთავრეს გამგეობას წარმოდგენილი არა აქვს რუსეთის პრესსის საზოგადო ვითარება, პრესსის სფერაში არ არსებობს არავითარი ერთობა, კავშირი, კორპორაცია, რომელსაც ძალ-უძს გამოარკვიოს პრესსის საერთო ვითარება, მთელ სურათად აქციოს და გააცნოს მას. უმთავრეს გამგეობას მხოლოდ კანტი-კუნტი ცნობები მისდის, შემთხვევითი ხასიათისა, სხვა-და-სხვა კერძო ფაქტები და უკმაყოფილებანი, რომელთაც ზოგჯერ დაიწყებას მისცემენ ხოლმე, ზოგჯერ კი გადასწყვეტენ; მხოლოდ ამ გადაწყვეტილებას არ აქვს საზოგადო ხასიათი, რადგან კერძო ფაქტს შეეხება. პროვინციალურ პრესსის ვითარების მთელი სურათი მხოლოდ ჟურნალისტთა კრებაზე გამოირკვევა, იმ ჟურნალისტების, რომელნიც დღეს მთელ რუსეთის სივრცეზე არიან გაფანტულნი. ამ მოღვაწეთა კრება სასურველი უნდა იქმნეს არა მარტო საზოგადოებისათვის, არამედ მთავრობისთვისაც.

„რუსკ. ვედ."-ი ეხება საერო განათლების სამინისტროს ცირკულიარს მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის დამოკიდებულების შესახებ და მოჰყავს შემდეგი ადგილი ამ ცირკულიარიდან: „რამდენად უფრო ცხადი იქნება მოსწავლეთათვის, რომ ის სულიერი საკვები, რომელსაც მოსწავლეს სკოლა აძლევს, უფრო სასარგებლოა, ვიდრე ამ სკოლის მტრების ქადაგება, იმდენად უფრო გამტკიცდება სკოლის ავტორიტეტი და გავლენაო". „რუსკ. ვედ."-ი ამბობს ამის შესახებ:

> მაგარიც ის არის, რომ სკოლის ავტორიტეტის დამყარებისათვის საჭიროა ისეთი რეფორმები, რომელთაც უნდა შესცვალონ ძირეულად დღევანდელი სკოლის ვითარება, პროგრამმა, წესწყობილება და მასწავლებელთა მდგომარეობა. ცირკულიარი ამბობს, რომ მასწავლებელმა უნდა შეიგნოს თავისი დანიშნულება, უნდა სცდილობდეს თვითონ შეიძინოს მეტი ცოდნა პედაგოგიის სფერაში, უნდა მოემზადოს ყოველ გაკვეთილისათვის, უნდა გაჰხდეს არა მარტო განმანათლებელი არამედ აღმზრდელი მოწაფეთა. სამოსწავლო საგნებით მან უნდა ისარგებლოს იმ განზრახვით, რომ მოწაფეთა შორის გაავრცელოს საღი აზრები და რწმენანი. მასწავლებლებმა უნდა გაჰმართონ ხოლმე ბაასი შეგირდთან, წაკითხვისა და მათი ნაწერის შესახებ და სხვა.

ყველა ეს კეთილი და პატიოსანი. მაგრამ როგორ უნდა განახორციელდეს ეს კეთილი

ბა და თავგანწირულობა, და ყველა ესე სიმართლესთან ერთად მან შესწირა საზოგადო საქმეს". ბ. აკაკი აღნიშნავს აქ იმას, რომ სერგეის მუშაობა თითქოს შეუნიშნავი იყო, მაგრამ ამასთანავე იგი მეტად დიადი და ნაყოფიერი იყოო.

ასე აფასებდნენ ს. მესხს მისი ამხანაგები და ნაცნობები და, რასაკვირველია, მისი დაკარგვა უზომოდ შეაწუხებდა ყველას. ყველაზე უფრო მძიმე იყო სერგეის სიკვდილი „დროების" რედაქციისათვის. „ჩვენი გაზეთი რომ ხორციელი ადამიანი იყოს, სწერდა რედაქცია 24 ივლისს: და ყოველს ჟამს მოვალეობად არ აწვეს საქვეყნო საქმეზე ზრუნვა, დღეს ცხარე ცრემლებით უნდა ეტირნა ის კაცი, რომელსაც ამდენი ამაგი აქვს მაზედ, რასაც თავის დღეში მოსიყვარულე დედაც კი ვერ დასდებს თავის დედის-ერთა საყვარელს შვილსო"—„ის სისხლის წვეთებით აპკურებდა თავის მამულსა, ვიდრე უდროვოდ განუტევებდა უმანკო სულსა", სწერდა სერგეის თანამშრომელი ავ. ცაგარელი.—შემდეგ №-ში „დროების" რედაქციამ ვრცლად გაარჩია განსვენებულის მოღვაწეობა და ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ს. მესხის სახელს, მის სიმპატიურს ბუნებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღეს „დროება" მთელის საქართველოს გაზეთად გარდაიქცა; მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ თითქმის ხელოვნურ ნიადაგზე აღმოცენებულმა მცენარემ ღრმად ფესვები გაიდგა და მრავალს ქართველს დღიურ საჭიროებად შეექნა".

სერგეი დაასაფლავეს 25 ივლისს სამშობლო სოფელს რიონში, ქუთაისის ახლო. მის კუბოს ამკობდა მრავალი გვირგვინი, სხვათა შორის, რამდენიმე ასოთ-ამწყობთაგან, ერთი მესხეთის გლეხებისაგან. განსვენებულის კუბოს ცრემლებით მიმართა მისმა ახლობელმა ამხანაგმა გ. წერეთელმა: „გული კვდება, სული იტანჯვის, ძმაო სერგო, შენი ცხედარის შემხედვარე! რად გამოაკლდი შენს ტოლსა და ამხანაგებს, რომელნიც შენის მხნე შრომით და მამაცურის თავგანწირულობით იყვნენ გულ-დაიმედებულნი საქველმოქმედო ასპარეზზედ"…. „ვის არ ახსოვს, ეუბნებოდა გ. წერეთელი დამსწრე საზოგადოებას: ს. მესხის თურაშაული ვაშლივით აწითლებული ლოყები, მისი ლამაზი სახე და სიცოცხლით აღვსილი დიდრონი თვალები; მასთანვე მისი ხელის სიმტკიცე, ყველასაგან საყვარელი და მიმზიდავი ხასიათი, მისი გამბედავი სიტყვა, რომლითაც ის დიდსა და პატარას ყურში ჩასძახოდა: დრო არის, გავიღვიძოთ, დრო არის, აღვადგინოთ ჩვენი სამშობლო ენაო!.. მის მიერ ტარებულ დროშის ქვეშ შედიოდნენ აღრჩეულნი მუშაკნი, სიყვარულით და პატივისცემით უდგნენ მხარში, მაგრამ ფრიად მძიმე შეიქმნა მედროშესათვის მისი ტვირთი"!…

ასეთისავე სიყვარულით იხსენიებენ განსვენებულის სახელს დ. სოსლანი და ბოსლეველი (ახალგაზდა ნიჭიერი პუბლიცისტი), რომელთაც ვრცელი წერილები უძღვნეს სერგეის. „როდესაც გამოსასალმებელ სადილზე, ვკითხულობთ დ. სოსლანის წერილში: უკანასკნელად დაჰხდა ჩვენში განსვენებული სერგეი და ვუყურებდი მის მიხრწნეულის და წამებულის სახეს, თან ტანჯვით გული მეწვოდა, თანაც სიხარული და სიამოვნება მიელავდა გულში. იმ დღეს თვალ წინ მიდგა ჩემის სამშობლოს შვილი, რომელსაც ნებაყოფლობით კისრად ედო წმინდა ტვირთი ქრისტესი, ეტარებინა ერთგულად, პატიოსნად, სანამ ძალა შესწევდა და ეხლა ოთხად მიჩანგული და დაუძლურებული, მაინც ბედს არ ემდუროდა…" ბოსლეველი აღნიშნავს, რომ სერგეიმ მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი ძალღონე შესწირა ერთს საზოგადო საქმეს. „ადვილი სათქმელია: 14 წელიწადი მუდმივ, შეუწყვეტლად შენის ხალხის გონებითს განვითარებას ემსახურო, „დროების" რედაქტორი იყო! მაგრამ საქმით კი ეს ისე ძნელია, რომ შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმისთანა რჩეულის ადამიანისათვის, რომელიც უხვად შემკობილია ბუნებისაგან ხასიათის სიმტკიცით და გამტანობით, მტკიცე და შეურყეველის ნების ძალით და თან რომელსაც თავის ცხოვრების საგნად აღუარებია ერთი რამე დედა-აზრი, ერთი რამე იდეა და ისეა გამსჭვალული ამ იდეით, რომ მხოლოდ მით შეუძლია სულდგმულობა"…

ასე ახასიათებენ ს. მესხს მისი ამხანაგები და ახასიათებენ უპირველესად მის ზნეობრივს ფიზიონომიას. იგი იყო სამაგალითო ზნეობრივის სიფაქიზის ადამიანი, რომელსაც ფიქრადაც არ გაუტარებია თავში, რაიმე, სულ მცირე, ჩირქი მოეცხო იმ წმინდა ტაძრისათვის, რომელსაც საზოგადო მოღვაწეობა ჰქვია. სამწუხაროდ, ჩვენს ძველს მოღვაწეებში ს. მესხი თითით საჩვენებელი მაგალითია, რომელიც მთელის თავის არსებით ცხოვრობდა მარტო საზოგადო საქმისათვის და რომელსაც არასოდეს არ გაუხდია საზოგადო საქმე პირად გამორჩენის იარაღად, როგორც ეს სჩვევია ბევრს. ერთის იდეით იყო გამსჭვალული, ეს იყო სამშობლო ერის აღორძინება და კეთილდღეობა. 14 წლის განმავლობაში დაუძინებლად ადევნებდა თვალყურს თავის ქვეყნის მაჯის ცემას და თავგანწირული ებრძოდა ქვეყნის წარმატებს ყოველსავე დაბრკოლებას. რა-კი ერთხელ გამოვიდა საზოგადო ასპარეზზედ, იტვირთა მძიმე ტვირთი, ფანატიკურად ემსახურებოდა საქმეს, რომელსაც პირდაპირ შეალია თავისი სისხლის უკანასკნელი წვეთი. იგი იყო გმირი, თამამად შეგვიძლია ამის თქმა: გმირი—მწერალი, გმირი—საზოგადო მოღვაწე! ჩვენში არიან ს. მესხზე უფრო ნიჭიერნი და მცოდნე მწერლები, მაგრამ მათ სახელებს ჩამომავლობა არასოდეს არ მოიხსენიებს ისეთის სიყვარულით და თანაგრძნობით, როგორც მოიხსენიებს ს. მესხის სახელს, და ეს იმიტომ რომ ყველას იზიდავს ს. მესხის წმინდა სინიდისი და ფანატიკური თავგამოდება საზოგადო ინტერესებისათვის…

და, განვიმეორებთ განსვენებულის ერთის ამხანაგთაგანის სიტყვებს: „მხოლოდ იმისთანა მოღვაწეთ შეუძლიათ შექმნან კულტურა ხალხისა, დააყენონ ეროვნების სანატრელი მომავალი მკვიდრს გზაზედ. ვისაც შეუძლიან ესე ხანგრძლივ და სისტემატიურად (და პატიოსნად!) იშრომოს, როგორც სერგეიმ იშრომა ჩვენის ლიტერატურისათვის!"

კალამი.

ივერიელი

განზრახვა ცხოვრების დღევანდელ პირობებში?—სამართლიანად ამბობს „რუსკ. ვედ."-ი.

წერილი ხონიდან

აქაური რამე-რუმე

ინგლისელები ამბობენ: „დრო ფულია"-ო. ჭეშმარიტებაა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ჭეშმარიტება ჩვენ ჯერ არ შეგვიგნია. ამისათვის საკმაოა შებრძანდეთ ხონის მაჰასახლისის კანცელარიასა და სასამართლოში. ეს ორი განყოფილება ყოველ-დღე სავსეა მომჩივნებით. კაცმა რომ ხელი წაჰკრას ვინმეს, მაშინვე საჩივლელად მირბის, სხვას არას დაგიდევს, თუ გინდ ოჯახი ექცეოდეს. ამ დალოცვილებს, ნუ თუ არ ეზარებათ ჩივილი? მაგრამ იმერლები ხომ განთქმული არიან საჩივრით! დროს კარგვა, ფულების ხარჯვა, შურის და მტრობის გაღვიძება,—აი, შედეგი ჩივილისა.

მგონი, დიდათ დროს არც აქაური ფოტოგრაფი აფასებს. რომ კეთილ ინებოთ და ერთი სურათი გადაიღოთ, მკითხველო, 3—4 თვეს გაგიჭირდებათ იმისი აღება. „აი, დღეს", „აი, ხვალ", და ამ „დღეს ხვალობით" შეიძლება მეორედ მოსვლაც კარზედ მოგადგეს.

მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია ხონის ბიბლიოთეკა. განსვენებას აპირებს წიაღსა შინა აბრაამისასა... ვინაა ყური რომ უგდოს.

ხონის საზაფხულო თეატრში ამ ზაფხულს დაიდგა ერთი-ორი წარმოდგენა, რომლებმაც გვარიანად ჩაიარეს. ეხლა ხან ორი წარმოდგენა კიდევ უნდა გამართულიყო, აფიშებიც ააკრეს, მაგრამ წარმოდგენა არ გამართულა.

სკოლების საქმე კარგად მიდის, მხოლოდ... ქართულს სპობენ. ესეც-კია რა დიდად ეპრიანება ხონელს ქართული ენა?! აქაური საქალაქო სასწავლებელი წელს გაათავა 27 მოწაფემ. თითქმის ყველა სწავლის განგრძობას ლამობს, მაგრამ უფულობა ხელს უშლის.

ხონში ერთად-ერთი წიგნის მაღაზიაა, რომელშიაც ყველაფერია... წიგნების გარდა. „დედა-ენა"-საც კი ვერ იშოვის კაცი. ან კი რა საჭიროა წიგნები, როდესაც ხონელები ისე წიგნებს არ ეტანებიან, როგორც სხვა რამეს, მაგალითად, ბანქოს თამაშს. თამაშობენ ბანქოს უფრო აქაურ დუქნებში. შეიპარებიან უკანა ოთახში და „კარტოჟნიკობენ". ეხლა ხან ბანქოს თამაშში ჩხუბი მოუვიდათ და კინაღამ სამი კაცი მოჰკლეს.

ვ—კო.

წერილი კახეთიდან

წყალ-დიდობის შედეგი.—მოსავალი.—აბრეშუმის პარკი.

რა შევატყვეთ მკაცრ ზამთარს და თოვლის ზვავებს, ჩვენ მარტშივე წერილი ვუძღვენით კახეთიდან. მივაქციეთ ყურადღება ხევთა სიმრავლეს, ნაპირების გაუმაგრებლობას, წყლისაგან ზარალს და საჭიროდ ვცანით მაშინვე თადარიგის დაჭერა, მაგრამ ამას ყურადღება არავინ მიაქცია. სამაგიეროდ ჩვენი ნათქვამი ასრულდა. როგორც წინა წერილში მქონდა აღნიშნული, ხევების ნაპირებიდან გადმოვარდნილმა წყალმა ბევრი ზარალი მოუტანა მცხოვრებთ,—ზოგს მიწა მოსტაცა, ზოგს ვენახი და ბაღი და ზოგს წისქვილი. თურდომ და კისისხევმა ხომ ზედ სოფლებზე დაიდეს გზა. წყალ-დიდობის შემდეგ, როგორც უმეტკან, ისე კისისხევზე გამოეყვანათ ბეგარა და შესდგომოდნენ გზების გასწორებას და ნაპირების გამაგრებას, რასაკვირველია, ჩვეულებრივის ქვა-თიხით. განა ბევრად არ ერჩივნათ ნაპირები გაზაფხულზე გაემაგრებინათ, როცა ასეთი მუშაობა არ არის და არც ასე ბევრი საქმე აქვთ მცხოვრებთ, როგორც ეხლა; მაგრამ „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება."

წელს თელავის მაზრაში პურის მოსავალი ვერ არის საქებური და ზოგ სოფელში ხომ ძლიერ ნაკლებია. გაღმა მხარეს უფრო კარგი ყანებია, ვიდრე გამოღმა. გამოღმა მხარეს, ჯერ ერთი, სეტყვამ თითქმის ყველა სოფელს დაჰკრა და ყანას ზიანი მისცა, მერე კიდევ, ანეულს პირველ გაზაფხულზე ცოტა გვალვა შეჰხვდა, ნამეტნავად ქვემო მხრის სოფლებში. გაზაფხულის ნათესობა, დიკა სჯობია, ესეც გაღმა მხარეს, თავის დროზე დარმა და ავდარმა ხელი შეუწყო, გაათამამა და მარცვალიც დაუმსხვილა. ამ ჟამად გაცხარებული მკაა. გაღმა უკვე ათავებენ, ზოგმა ხომ კალო გამართა და ლეწვას შეუდგა; უფრო ის დაეჩქარა, ვინც უნაფქოთ იყო; ახლით გამოღმა შუა მკაში არიან. როგორც ყოველთვის, მუშა ხელმა აიწია, წელს 80 კ.—1 მან. გახდა. რადგან გაზაფხულზე წვიმები ხშირი იყო, სიმინდმა ძრიელ კარგად იხეირა. იმოდენა დერო აიყარა, რომ ცხენიანი კაცი დაიმალება და თითოს 4-5 ტარო ასხია. არც ფეტვისა და ფშვრიას მოსავალია სიმინდზე ნაკლები.

აბრეშუმის პარკი სულ გაიყიდა კახეთში. ავიდა თუ არა ჭია ცახზე, ჩვენი ჩარჩ-ვაჭრებიც შესხდნენ ცხენებზე და დაიწყეს სოფლად სიარული წიდზე დარიგებულ პარკის მოსაკრებად და სასყიდლად. ამათ თან დაჰქონდათ „შესტის" ლიტრიანები და „ბეზმენები" პარკის ასაწონავად. აი, ასეთის წონით ყიდულობდნენ და, რასაკვირველია, საეჭვოა წონის სინამდვილე. როგორც გაზეთებში ვკითხულობთ, წელს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში ფუთი პარკი იყიდებოდა 15—20 მან., ჩვენში კი 12—15 მან. გაიყიდა. თუმცა პირველად 16 მ. და 50 კ. აძლევდნენ, მაგრამ მალე ფასი დაუწიეს. ფასის დაცემა, რასაკვირველია, ბაზრის უქონლობას უნდა მივაწეროთ. კახეთში პარკი არსად გააქვთ გასასყიდად. შინ მოელოდებიან ვაჭარს და რასაც იგი შეაძლევს, უნდა აიღონ.

ნომერი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივლისი.

პეტერბურგი. „კან. კრებ."-ში დაბეჭდილია ბრძანება წმ. გიორგისა, წმ. ვლადიმირისა და წმ. ანნას ორდენების სტატუტის მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ.

მოსკოვი. დღეს ლოცვაზე მიძინების ტაძარში გამოიტანეს თაყვანის საცემლად წმ. სერაფიმეს მანტია.

საროვი. დღეს 11 საათზე მიტროპოლიტმა ანტონიმ სამღვდელოებითურთ გადაიხადა უკანასკნელი პანაშვიდი ღირს სახსენებელ სერაფიმის სულის მოსახსენებლად და შემდეგ ლოცვა საფლავზე. პანაშვიდსა და ლოცვას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფლები და სხვა წევრნი სამეფო გვარეულობისა.

ბუდაპეშტი. ობსტრუქციის მომხრეთ გადასწყვიტეს შეიტანონ პროექტი მეფისთვის მისართმევ ადრესისა და განცხადება, რომ ობსტრუქციაზე ხელს არ აიღებთ იმ დრომდე, ვიდრე არ შეასრულებთ ხალხის მოთხოვნილებებს, 1867 წლის კანონით უზრუნველ ყოფილსა.

ექს-ლე-ბენ. მოვიდა საბერძნეთის მეფე.

საროვი. 17 ივლისს შუადღისას იმპერატორის მატარებელი სოფელ ვიეზდნოში, არზამასს ახლო, განგებ გამართულ პლატ-ფორმასთან მივიდა. რკინის გზის პავილიონის შესავალში არზამასის დეპუტაციამ მათ უდიდებულესობათ პურ-მარილი მიართვა. აქვე სოფლის მამასახლისმა კონსტანტინოვმაც მიართვა პურ-მარილი და მოახსენა: „თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, პურ-მარილი ინებეთ და ამით ნიჟეგოროდის გუბერნიის გლეხთა წოდება გააბედნიერეთ". სოფელ ვიეზდნოვის მამასახლისმა შბალოვმა თავისის სოფლის სახელით მიართვა პურ-მარილი. ხელმწიფე-იმპერატორმა ღირს-ჰყო, უმაღლესი მადლობა გადაუხადა და მოწყალედ გამოჰკითხა, რამდენი ხანი მსახურობთ. შემდეგ ხელმწიფე-იმპერატორი უმაღლესის პირებით სათავად აზნაურო პავილიონისაკენ წაბრძანდა. სათავად-აზნაურო პავილიონში მათ უდიდებულესობას ნიჟეგოროდის გუბერნიის თავად აზნაურობა ელოდებოდა. თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ნეიგარდტმა ვერცხლის სინით პურ-მარილი მიართვა და მოახსენა: „თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, ბედნიერია ნიჟეგოროდის გუბერნია, მით რომ თქვენ სალოცავად წასვლის დროს აქ გამოიარეთ; გამოუთქმელად უხარიან ნიჟეგოროდის გუბერნიას, რომ თქვენ თავის კარავში მიგიღოთ და პურ-მარილით მოგესალმოთ. მშვიდობა თქვენს მობრძანებას, მაღალო ხელმწიფევ! თქვენს უდიდებულესობას გულწრფელად უქვეშევრდომილეს მადლობას მოგახსენებთ თქვენის მეფურ ზრუნვისათვის; არას დროს არ დაგვავიწყდება თქვენი კეთილ-მოწყალე საქციელი ნიჟეგოროდის სათავად-აზნაურო ინსტიტუტისა და კარატაევის თავ-შესაფარისადმი. თქვენმა მობრძანებამ ჩვენ შორის, მაღალო ხელმწიფევ, დიდად აღამაღლა და აღაფრთოვანა ჩვენი სული; ძალაუნებურად ძველი დრო გვახსენდება, როდესაც ჩვენმა წინაპრებმა, ნიჟეგოროდელებმა თავიანთ სახლ-კარი გაყიდეს, თავიანთი ცოლ-შვილი დააგირავეს და მოსკოვში სამშობლოს განმანთავისუფლებელი დროშა აამაღლეს. გვაგონდება შემდეგი დროც, როდესაც ნიჟეგოროდის თავად-აზნაურობამ ყველა სხვა გუბერნიის თავად-აზნაურობაზე წინ გულმხურვალედ შეისმინა დაუვიწყარის დიდად განსვენებულის პაპა-თქვენის მოწოდება. ირწმუნეთ, დიდებულო ხელმწიფევ, რომ ეხლაც და ამას იქითაც ყოველ დროს ნიჟეგოროდის თავად-აზნაურობა არაფერს არ დაიშურებს სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოს დასაცველად. თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ, ჩვენ გულწრფელად გილოცავთ გზას, ყოვლად ძლიერმა ღმერთმა თავის დიდებულ წმინდა სერაფიმე საროველის მეოხებით იხსნას და დაიფაროს რუსეთისათვის ძვირფასი სიცოცხლე თქვენი და მთელი სამეფო გვარეულობისა მრავალ ჟამიერ". ხელმწიფე-იმპერატორმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა თავად-აზნაურობას მიღებისათვის. ნიჟეგოროდის საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ საველიევმა და არზამასის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ კასელმაც მიართვეს პურ-მარილი. 12 ს. და 25 წ. ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე დედოფლები, დიდი მთავრები და დიდის მთავრის მეუღლენი და ასულნი ცხენებით საროვის უდაბნოში წაბრძანდნენ. დაუსრულებელ „ურათი" აცილებდნენ ხელმწიფის კორტეჟს. ხალხის აღტაცება მეტის-მეტად ძლიერია. 17 ივლისს, საღამოს 6 საათზე მათი უდიდებულესობანი მშვიდობიანად ჩამოვიდნენ და კარავში ჩაი მიირთვეს. ტამბოვის გუბერნიის საზღვარზე მათ უდიდებულესობათ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი მიეგება.

ბერლინი. გერმანელ ურიების დამხმარებელი საზოგადოება კიშინევლ ურიების სასარგებლოდ ფულს აგროვებს. აქამდე 525,483 მარკა შეიკრიბა.

რომი. დილის 10 საათზე ვატიკანში წმ. პავლეს კაპელაში დიდებული წირვა გადაიხადეს. მწირველი კარდინალი ვანუტელი იყო. წირვას 61 კარდინალი დაესწრო. წირვის შემდეგ მონსენიორმა სარდიმ სიტყვა წარმოსთქვა და კარდინალებს ურჩია, ღვთის-მოშიში, მეცნიერი და მშვიდი კაცი აირჩიონ პაპადო. ცერემონია 12 საათზე გათავდა. 5 საათზე კარდინალები ისევ ვატიკანში შეიკრიბნენ და არჩევანი დაიწყო.

ათინა. ეტყობა, ხალხი კონსტიტუციის შეცვლას თხოულობს. ამ აზრით, რამდენიმე კავშირია დაარსებული. ეს კავშირები პროვინციებში პროკლამაციებს ავრცელებენ, საბერძნეთის სამწუხარო მდგომარეობას აწერენ და აცხადებენ, რომ კონსტიტუცია უსათუოდ უნდა შეიცვალოს. ამის თაობაზე დაწერილ არზებს მრავალი კაცი აწერს ხელს, ნამეტნავად ქალაქის ხალხი.

19 ივლისი

ბუხარესტი. ვოლოგდის პოლკის დეპუტაცია ბუხარესტში მოვიდა და ბევრი სამხედრო დაწესებულება ინახულა. პოლკს ყველგან თანაგრძნობით დახვდნენ. ბუხარესტელმა ოფიცრებმა გაუმართეს საუზმე და პური, რომლებზედაც ბევრი სადღეგრძელო წარმოითქვა.

სიმლა. ინდოეთის მთავრობამ გადასწყვიტა 1904 წლის 31 მარტამდის შაქარზე ისეთივე ბაჟი დაანარჩუნოს, რამოდენაც დაწესდება 31 აგვისტომდე, ე. ი. იმ დრომდე, როდესაც ძალაში უნდა შევიდეს ბრიუსელის კონფერენციის დადგენილებანი.

პორტ-არტური. როგორც ჩინურ გაზეთებს შეუტყვიათ, ამ ცოტა ხანში 200 ავაზაკი შეცვივნულა პეკინში, იმპერატრიცას საზაფხულო სასახლეში, და 100,000 ტაელის ღირებულება მოუტაცნია. ამ საქმეში საჭურისებიც არიან ჩარეულნი. ჯერ ჯერობით 200 კაციდან მხოლოდ 6 შეიპყრეს.

კიევი. მაისის განმავლობაში კიევის გუბერნიაში სეტყვამ გააფუჭა 25,000 დეს. ნათესობა. ზარალი 900,000 მანეთამდის აღის.

საროვი. პურის სიცოტავე ხალხს ძალიან აწუხებს. მლოცველების რიცხვი, როგორც ამბობენ, 300,000-მდე ადის. ბევრი შეძლებული პირი ცის ქვეშ ათევს ღამეს.

ბერლინი. პეტერბურგისაკენ გამოემგზავრნენ გერმანელი კომისარები, რომელთაც დავალებული აქვთ მოილაპარაკონ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ.

სოფია. მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს დიპლომატიური მისსია რომსა, ლონდონსა და ათინაში.

პეტერბურგი. რუსეთის ჯარის მორჩმულ დამაარსებლის ხსოვნის აღსანიშნავად უმაღლესად ნაბრძანებია: მე 9 ქვეით-ინგერმანლანდის გენერალ-ფელდმარშალის თავად მიხეილ გოლიცინის პოლკი იწოდებოდეს მე-9 ქვეით ინგერმანლანდის იმპერატორ პეტრე პირველის პოლკად; მე-3 ქვეითი ნარვის გენერალ-ფელდმარშალის ვორონცოვის პოლკი იწოდებოდეს მე-3 ქვეითი ნარვის გენერალ-ფელდმარშალის გოლიცინის პოლკად; მე-78 ქვეითი კურინის პოლკი იწოდებოდეს მე-78 ქვეითი კურინის გენერალ-ფელდმარშალის ვორონცოვის პოლკად.

აღსანიშნავად მონარქის წყალობისა ტახტისა და მამულის ერთგულებისათვის ხელმწიფე-იმპერატორმა უბოძა მე-9 ქვეით ინგერმანლანდის პოლკს, რომელსაც ეხლა 200 წელი შეუსრულდა, წმ. გიორგის დროშა საიუბილეო ლენტით და წარწერით: „1703—1903;" ლენტზე ძველი წარწერაც დარჩება: „ბალკანებზე გადასვლისთვის, ტროიანთან ახლო, 1877 წლის დეკემბერს."—ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა ფინლიანდიის კადეტთა კორპუსის სამხედრო მოსამსახურეები და კადეტები გადაყენებულ იქმნან.

პეტერბურგის ბირჟა 18 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
5% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	440½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335½ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	288½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	88½ „
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	85⅞ „
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	92½ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	91¾ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	190 „

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისში

ბაქრაძის აფთიაქის საწყობში, რომელიც გადატანილ იქმნა ქარვასლის ქუჩაზე, ბარკაიას შენობაში, „ლონდონის" სასტუმროს მახლობლად, მიღებულია „არარატი"—ნაირ-ნაირ ბუზეულობის დასახოცი; აგრეთვე აფთიაქისა, პარფიუმერიისა და კოსმეტიური საქონელი, რომელიც იაფ-ფასად იყიდება. საწყობი ღიაა დილის რვა საათიდან საღამოს ათ საათამდე. (2—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—152)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს"

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, დ. ივ. ნათაძეს. (ვ. 0—19)

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Іюля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат Т—ва).